# მატჩი თოვლში

**მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 4 მაისი. მოღრუბლულობა. დროდადრო თოვა. 4 გრადუსი. 12 000 მაყურებელი.**

**“ლოკომოტივი” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) 0:1 (0:0).**

**გოლი ბარქაიამ გაიტანა (72).**

**“ლოკომოტივი”: პოლიაკოვი, კორენოვი, ჩინიონოვი, ბელიაკოვი, ზაიცევი, კოვალიოვი, დავიდოვი, გორშკოვი, ზაბელინი, სიაგინი, ბისტროვი (ორეშნიკოვი - 65).**

**“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, მაისურაძე, დათუნაშვილი (ხუციშვილი - 61).**

**მსაჯი კ. ანძიულისი (ვილნიუსი); ს. ალიმოვი და ს. არხიპოვი (ორივე მოსკოვი).**

**დუბლიორები - 1:1. გოლოვანოვი (“ლოკომოტივი”), რეხვიაშვილი (“დინამო”)**

ჩემპიონის დებიუტს მოსკოვში, პირდაპირ ვთქვათ, ძალზე ცუდი ამინდი დაესწრო: განუწყვეტელი სველი თოვლი, რომელიც ბოლოს თავსხმაში გადაიზარდა. მოდი და ითამაშე!...

მაგრამ ჩემპიონი - ჩემპიონია და მოთხოვნები მის მიმართ, ყოველგვარი ამინდის მიუხედავად, მუდამ განსაკუთრებულია. და ‘‘დინამომ’’ ამ თქეშშიც მოახერხა საკუთარი სიტყვის თქმა, თუმცა საამისოდ, გაძნელებული პირობების შესატყვისად, ამოცანაც გართულებული იყო.

რა თქმა უნდა, ძნელია ასეთ ამინდში, ისიც გაზაფხულზე, გუნდებს მოსთხოვო გამოკვეთილი დასრულებული, მაღალი კლასი, მოსთხოვო თუნდაც ჩემპიონს. ‘საკუთარი სიტყვის თქმა’’ უფრო იმაში გამოიხატა, რომ დინამოელებმა ზუსტად და მონდომებით შეასრულეს ზემოაღნიშნული შეცვლილი პირობებისათვის გასათამაშებელი როლი, მატჩის განმავლობაში უზრუნველყვეს საერთო უპირატესობა და ამ უპირატესობას რეალური გამოხატულებაც მისცეს გატანილი ბურთის სახით.

ჩემპიონი თამაშის სადავეებს ფლობდა მთელი პირველი ტაიმის მანძილზე, რომელიც წლევანდელი ყველა ‘‘მოსკოვური’’ მატჩისგან განსხვავებით, ცოცხლად და საინტერესოდ მიმდინარეობდა. გამოირჩეოდნენ გ. სიჭინავა და ბარქაია. ‘‘ლოკომოტივი’’ პირველ გოლს გადარჩა ჯერ კიდევ მაშინ, როცა დათუნაშვილმა ჩვეული მანერით მოაწოდა კუთხური და სახიფათოდ მოჭრილი ბურთი ვერავინ გამოიყენა.

დაიწყო მეორე ნახევარი, გადიოდა წუთები და ანგარიში ტაბლოზე მაინც უსიამოვნო ნოლებით გამოიხატებოდა. და მაინც, არ ვიცი რას გრძნობდნენ სხვა მაყურებლები, პირადად მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ოსტატობა, უპირატესობა კლასში თავისას იტყოდა. ამაში დარწმუნებული ვიყავი მაშინაც, როცა ‘‘ლოკომოტივმა’’, მისი აზრით, გარდამტეხი დაწოლა განახორციელა ‘‘დინამოს’’ კარზე, და როცა ურუშაძეს პირისპირ გასული გორშკოვის ფეხიდან მოუხდა ბურთის აცლა; თბილისელებმა კატეგორიულად უარყვეს მასპინძლების ‘‘განაცხადი’’ მოგებაზე და კონტრარგუმენტიც მალე წამოაყენეს: თეთრი მაისურები თანდათანობით, სულ უფრო ხშირად და, ბოლოს, მეთოდურად დამკვიდრდნენ რკინიგზელთა ნახევარზე და მრავალ იერიშს შორის ერთ-ერთი - მაისურაძისა და ბარქაიას

‘‘დუეტით’’ - გადამწყვეტი, ‘‘ორქულიანი’’ გოლით ძააგვირგვინეს. ბარქაიას მიერ შეუჩერებლივ დარტყმული ბურთი აუღებელი იყო და იგი თამაშის საერთო კანონზომიერების ლოგიკურ წერტილად მოგვევლინა. თუმცა, ეს ‘‘წერტილი’’ შეიძლებოდა კიდევ უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო, რომ მატჩის მიწურულს მეტრეველის მიერ დარტყმულ და ძელისგან ასხლეტილ ბურთს უფრო საზრიანად დახვედროდა ცარიელი კარის წინ 3 მეტრზე მდგარი ხუციშვილი.

მატჩის დამთავრების შემდეგ აზრი ვკითხეთ თბილისელთა უფროს მწვრთნელს გ. კაჩალინს. მან თქვა ‘‘შედეგით კმაყოფილი ვარ მხოლოდ იმის გამო, რომ თამაში მოგვიხდა თოვლში, რაც ჩვენი ბიჭებისათვის ერთობ უსიამოვნო და მძიმე ტვირთია. მინდა გამოვყო გ. სიჭინავა და ე. ბარქაია’’.

**თ. ჭიჭინაძე. (ჩვენი კორ.).**

**“ლელო”. ოთხშაბათი, 5 მაისი, 1965 წ.**

**დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 5.05.65**